ლეილა აბზიანიძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო
Leila.abzianidze@atsu.edu.ge
https://doi.org/10.52340/lac.2023.08.01

ზოგი რამ სკოლამდელთა გრამატიკულად სწორი მეტყველების ფორმირებისათვის

მეტყველების განვითარების მეთოდიკა შეისწავლის სკოლამდელთა სამეტყველო პრაქტიკაში ენის გრამატიკული წყობის ფორმირების საკითხებს. მშობლიური ენის გრამატიკული წყობის დაუფლებასთან ერთად ბავშვებს უყალიბდებათ ლოგიკური აზროვნება.

ბავშვი თანდათან, წაბაძვით ეუფლება ენის გრამატიკულ წყობას. სკოლამდელ ასაკში ენის გრამატიკული წყობის ათვისების თავისებურებები შესწავლილია საბჭოთა ფსიქოლოგების მიერ, ფიზიოლოგიაში კი დადგენილია ბავშვთა მეტყველების გრამატიკული მხარის ათვისების პირობით-რეფლექსური საფუძველი.

სკოლამდელ ასაკში შეინიშნება, რომ ბავშვის მეტყველებისათვის დამახასიათებელია როგორც მორფოლოგიური, ისე სინტაქსური ხასიათის შეცდომები. ბავშვის მიერ ენის გრამატიკული წყობის სრული ათვისება შესაძლებელი ხდება სკოლაში მასწავლებლის მიზანმიმართული მუშაობის შედეგად.

სკოლამდელი ასაკის ბავშვებში შეიძლება გამოვყოთ გრამატიკულად სწორი მეტყველების ფორმირების შემდეგი ძირითადი ამოცანები: 1.მორფოლოგიური ხასიათის შეცდომების თავიდან აშორება სკოლამდელთა მეტყველებაში. ბავშვების წვრთნა (დაწყებული 2-3- წლიანთა ასაკობრივი ჯგუფიდან) მორფოლოგიური კატეგორიების სწორად გამოყენებაში და 2. ბავშვთა მეტყველების სინტაქსური მხარის სრულყოფა. მარტივი წინადადებების შედგენის, მარტივი გაუვრცობელი წინადადების გავრცობის, შერწყმული და რთული წინადადებების მართებულად გამოყენების სწავლება. სიტყვათა შეკავშირების საყოველთაოდ ხმარებული შემთხვევების გამოყენებაზე ვარჯიშობა.

სკოლამდელთა მეტყველების განვითარების საკითხით საქართველოში პირველად დაინტერესდა დიდი ქართველი მეცნიერი დიმიტრი უზნაძე, რაც აისახახა მის ფუნდამენტურ ნაშრომში „ბავშვის ფსიქოლოგია“.

1961 წელს გამოვიდა ფსიქოლოგ ა. ავალიშვილის წიგნი „ბავშვის მეტყველების განვითარება დაბადებიდან სამ წლამდე“. ამ ნაშრომით შეივსო ის დიდი ხარვეზი, რომელიც მანამდე არსებობდა უმცროსი სკოლამდელების მეტყველების ფსიქოლო-გიური ბუნების კვლევის დარგში. აქვე უნდა აღინიშნოს დიდი მნიშვნელობა ნ.ჭრელაშვილის ფსიქოლოგიური ნაშრომისა „ბავშვის მეტყველების ფსიქოლო-გიური ბუნება“ (1965 წ). ასევე საინტერესოა ა. მოსიავას ვრცელი გამოკვლევა „წინასაანბანო პერიოდი წერა-კითხვის

შესწავლაში“, რომელსაც გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება სკოლამდელ ასაკში კითხვა-წერის სწავლებისათვის მოსამზადებელი მუშაობის სათანადო დონეზე დაყენების საქმეში. 2-დან 3 წლამდე ასაკის ბავშვის მეტყველების თავისებურება შესწავლილი აქვს ნ. სამხარაძეს.

ენის გრამატიკული წყობა ბავშვის მიერ აითვისება დამოუკიდებლად, წაბაძვის გზით, მრავალფეროვან სამეტყველო ურთიერთობათა პროცესში. ცნობილია, რომ 3 წლის ასაკში ბავშვი სარგებლობს ისეთი გრამატიკული კატეგორიებით, როგორიცაა ბრუნვათა ფორმები, ზმნის პირი, რიცხვი, დრო, კილო და სხვ. შეუძლია გამოიყენოს მარტივი, შერწყმული, რთული წინადადებები. “საკმარისია, ბავშვს შევუქმნათ მდიდარი სამეტყველო ურთიერთობის საშუალება, იდეალური ნიმუშები წასაბაძავად, რომ მან ისწავლოს სწორად ლაპარაკი. ყოველი გრამატიკული ფორმა ბავშვისათვის გახდება გარკვეულ დამოკიდებულებათა განზოგადებულად ამსახველი სიგნალი, ხოლო ნაცნობ დამოკიდებულებებს უკვე თვითონ აღნიშნავს ათვისებული ფორმებით, თუმცა ლექსიკური მასალა იქნება ახალი“ {5}. მაგალითად, ბავშვმა აითვისა ცნება საგნისა, რომლის სახელიც მან უნდა გამოიყენოს ნათესაობითი ბრუნვის ფორმით: **ბურთის** *თამაში*, **ქლიავის** *ჭამა*. ამ ტიპის მიხედვით აწარმოებს იგი ყველა სახელს ნათესაობით ბრუნვაში: კაკალის, ატამის, ქათამის ყურძენის. ბავშვმა არ იცის, რომ ეს სიტყვები კუმშვადებია. უფროსების ვალია, გაუსწორონ პატარებს დაშვებული შეცდომები და მიაწოდონ ბრუნვის სწორი ფორმები: **კაკლის მურაბა, ატმის ხილფაფა, ქათმის კვერცხი, ყურძნის წვენი.** და ა.შ.

სპეციალისტთა დაკვირვების შედეგად, გამოთქმულია მოსაზრება, რომ ბავშვის მეტყველებაში გრამატიკულ შეცდომათა რიცხვი მნიშვნელოვნად იზრდება მეხუთე წელიწადში, როცა ფართოვდება მისი აქტიური ლექსიკონი, იწყებს გავრცობილი და რთული წინადადებების გამოყენებას, უფართოვდება სამეტყველო კონტაქტები. ბავშვი ყოველთვის ვერ ასწრებს ახლადათვისებული სიტყვების გრამატიკული ფორმების დამახსოვრებას, სიტყვათა შეხამებებსა და ფრაზებში ამ ფორმათა სწორად გამოყენებას, ვერ უწევს კონტროლს საკუთრ მეტყველებას. აღსანიშნავია, რომ „სწორი მეტყველების ჩვევის გამომუშავების მიზნით ჩატარებული მუშაობა ხელს უწყობს აგრეთვე ბავშვში კრიტიკული უნარის განვითარებას, როგორც საკუთარი, ისე სხვისი მეტყველების მიმართ. ბავშვი იწყებს მართებული ფორმის გარჩევას არამართებულისაგან, რაც აჩვევს მას აზრის გამოთქმისას სწორად შეარჩიოს სიტყვები ფრაზისათვის და სწორი ფორმით დააკავშიროს ისინი ერთიმეორესთან. ყოველივე ეს მოქმედებს ბავშვის გონებრივ განვითარებასთან“ {4}.

საბავშვო ბაღში მეტყველების გრამატიკული მხარის ფორმირების კონკრეტული შინაარსი განისაზღვრება ქართული სალიტერატურო ენის გრამატიკის ნორმებითა და ბავშვთა ასაკობრივი თავისებურებებით. მეტყველების გრამატიკული მხარის მდგომარეობა სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში სხვადასხვაგვარია, რაც დამოკიდებულია შემდეგ ობიექტურ მიზეზებზე: 1. ბავშვის განვითარების საერთო ფსიქო-ფიზიოლოგიურ მდგომარეობაზე (ნერვული პროცესების მდგომარეობა, ყურადღებისა და აზროვნების განვითარების დონე და

სხვ.); 2.ლექსიკურ მარაგზე, სამეტყველო უნარ-ჩვევებზე; 3.ფონემატური სმენისა და საწარმოთქმო აპარატის მდგომარეობაზე; 4. მეტყველებაში გამოსაყენებელი გრამატიკული კატეგორიების სიძნელეზე; 5.გარშემო მყოფი უფროსებისა (მშობლები, აღმზრდელები, საბავშვო ბაღის სხვა მომსახურე პერსონალი) და ბავშვთა კოლექტივის მეტყველების გრამატიკული მხარის მდგომარეობაზე; 6. ბავშვთა მეტყველების მიმართ პედაგოგიური კონტროლის ხარისხზე.

ამ ეტაპზე ჩვენი მიზანია, გრამატიკულად სწორი ზეპირი მეტყველების სწავლებაზე ყურადღების გამახვილება, რაც ემსახურება ბავშვებში უკვე ათვისებული ლექსიკური მარაგისა და ფონეტიკური მასალის ცოდნის დამაგრებასაც. გარკვეული მარაგის წინასწარ ათვისებისა და ბგერათა სწორად წარმოთქმის ჩვევების გამომუშავების გარეშე შეუძლებელია გრამატიკული სავარჯიშოების ჩატარება.

გრამატიკული შეცდომები შეიძლება სხვადასხვა ხასიათისა იყოს, რომლებიც გვხვდება გრამატიკული კატეგორიების გამოყენების ყველა სფეროში:

1.ვინ? და რა? კითხვების მიხედვით სულიერთა აღმნიშვნელი არსებითი სახელების გარჩევისას (ვინ შეჭამა ჩიტი? მელიამ? - კითხულობს ბავშვი).

2.სახელთა ბრუნებისას: ა) ხმოვანზე ფუძედაბოლოებული სახელთა ანალოგიურად (დედამ, მამამ, მელიამ) თანხმოვანზე ფუძედაბოლოებულ არსებითთა მოთხრობითის **მ** ბრუნვის ნიშნით (ჩიტიმ, ბიჭიმ) წარმოება. ბ) მ თანხმოვანზე ფუძედაბოლოებული არსებითების მოთხრობით ბრუნვაში ორი მ-ს ნაცვლად ერთის ხმარება: კამა (სკამმა) წამაქცია, ატამა (ატამმა) კბილი მომკვეთა გ) ს თანხმოვანზე ფუძედაბოლოებული არსებითი სახელების მიცემით ბრუნვაში ორი ს-ს ნაცვლად ერთის ხმარება ლექს ვიტყვი. დ) ნათესაობითში ფუძეუკვეცელთა ანალოგიურად ფუძეკვეცადების წარმოება; დედასი, მამასი ე) ფუძეკუმშვად სახელებში სათანადო ბრუნვებში ხმოვნების შეუკუმშავად შენარჩუნება: მსხალის, მსხალები, მაკლატელის, მაკლატელები.

3.**ებ**-იანი მრავლობითის წარმოებისას: ა) ნივთიერებათა სახელები მრავლობითში: **ხაჭოები** მოიტანეს, **ბალები** გვაჭამეს. ბ) მსაზღვრელ-საზღვრულის შეთანხმება რიცხვში: **პატალები** ფისოები ვნახე, **ლამაზები** კავილები მოვკლიფე.

4.თანდებულთა გამოყენებისას: ა) თანდებულები არსებითებთან: ‘მამავით“, „დედავით“, ‘წყალისავით“ „ცაიდან“, „ხეიდან“... ბ) თანდებულები ნაცვალსახელებთან: „ამ-ში“, „იმ-ში:, ამ-ზე“, „იმ-ზე“, „ჩემივით“ ...

5.ვერ იყენებენ **და** კავშირს და აწარმოებენ კომპოზიტებს: მომე კელი-პული (მომეცი ყველი და პური), მოიდა მამა-დედა (მოვიდნენ დედა და მამა).

6.2 წლამდე ბავშვებში ზმნების გამოყენებისას შეინიშნება შემდეგი შეცდომები: ა) პირველი პირის შეცვლა მესამე პირის ზმნის ფორმით: მე ძინავს, მე ალა გაფუჭა .

ამ ეტაპზე სხვა ტიპის შეცდომები (რომლებიც უამრავია) არ აღგვირიცხავს, და ჩვენი სავარჯიშოთა სისტემაც ჩვენ მიერ აღრიცხულ შეცდომათა გამოსასწორებლად შევადგინეთ.

ვინ? და რა? კითხვების სწორად გამოსაყენებლად და ჩვევის გამოსამუშავებლად კარგი შედეგის მომტანი აღმოჩნდა სურათების მიხედვით კითხვებზე პასუხის გაცემა: -ვინ გარბის? - ბავშვი

-ვინ ხატავს ? -გოგო

-ვინ ტირის? - ბიჭი

-რა ზის ხის ტოტზე? - ჩიტი

-რა ყივის? - მამალი

-რა გარბის? - ძაღლი

ასევე აღმზრდელი იშველიებს ბავშვთა ცხოვრებისეულ გამოცდილებას და სვამს კითხვებს:

-ბაღში ვინ მოგიყვანა დღეს? -ბაბუმ

სახლში ვინ წაგიყვანა გუშინ? - მამამ

აღმზრდელი ბავშვებს ჩამოურიგებს სურათებს და უსვამს კითხვებს და ავალებს ბავშვებს მის მიერ დასმულ ვინ? და რა? კითხვების მიხედვით ცალ-ცალკე დააჯგუფონ სურათები

ამდენად, ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილი შეცდომების გამოსასწორებლად მსგავსი ტიპის უამრავი სავარჯიშო შეიძლება შევიმუშავოთ.

ლიტერატურა:

1. ავალიშვილი ა., „ბავშვის მეტყველების განვითარება დაბადებიდან სამ წლამდე“, თბ., 1961
2. უზნაძე დ., „ბავშვის ფსიქოლოგია“, თბ.,1947.
3. ჩოლოყაშვილი-კარჭაული ნ., მეტყველების განვითარებისა და მშობლიური ენის სწავლების მეთოდიკა საბავშვო ბაღში“, თბ., 1967.
4. ჭრელაშვილი ნ., „ბავშვის მეტყველების ფსიქოლოგიური ბუნება“ თბ., 1965.
5. (Бородич А.М. Методика развития речи детей. М.,1974, 1981.)

Leila Abzianidze
Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia

Some questions for the formation of grammatically correct speech of presschoolers

Abstract

The child gradually learns the grammatical structure of the language by imitation. Soviet psychologists have studies the peculiarities of the acquisition of the grammatical structure of the language at preschool age, and the conditional-reflex basis of the acquisition of the grammatical side of children's speech has been established in physiology.

At preschool age, it can be obsefved that the child's speech is characterized by both morphological and syntactic errors. A child's complete acwuisition of the grammatical structure of the language becomes possible as a result of the purposeful work of the teacher at school.

We recorded (partially) mistakes made in the speech of preschoolers and complited a system of exercises to eliminate them.